



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 068/11<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ქარსელაძე ვასილი (სტუდენტი)*

### ფაქტები

საჩივრის ავტორები, ადვოკატები ვ.მ. და ე.ბ. ორ სხვა ადვოკატთან ერთად იცავდნენ ბრალდებული გ.ა.-ის ინტერესებს. 2011 წლის 21 ივლისს, მას შემდეგ, რაც ადვოკატებმა გ.ა.-ის მიერ მოთხოვნილი საპროცესო შეთანხმების გაფორმება, გამოძიების ორგანოების მხრიდან იძულების შედეგად მიიჩნიეს და უარი თქვეს მასზე ხელის მოწერაზე, გ.ა.-მ დაწერა განცხადება მათი აცილების თაობაზე. ამის შემდეგ ბრალდებულმა 21 ივლისის ღამით ციხის ადმინისტრაციის ერთ-ერთი თანამშრომლის მითითებით დარეკა მიცემულ ნომერზე, დაუკავშირდა ადვოკატ მ.ქ.-ს და სთხოვა წარმომადგენლობა. მ.ქ. ღამით მივიდა საგამოძიებო ორგანოში საქმის მასალების გასაცნობად და 22 ივლისიდან ჩაერთო საქმეში. საჩივრის ავტორების განმარტებით, ის ფაქტი, რომ მ.ქ.-მ არ აცნობა სხვა ადვოკატებს მისი საქმეში ჩართვის შესახებ, მათ შორის 22 ივლისის დილით, როცა მას შეეძლო ერთ-ერთ ადვოკატთან უშუალო კონტაქტში შესვლა, უნდა შეფასდეს, როგორც კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა. გარდა ამისა, ადვოკატი ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაერთო საქმეში, რაც გონივრულ დროდ ვერ იქნება მიჩნეული რათა მ.ქ.-ს შესძლებოდა ბრალდებულის სათანადო დაცვის უზრუნველყოფა. ამრიგად მისი მონაწილეობა საქმეში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც ეთიკის პრინციპების დარღვევაა. ადვოკატებმა ასევე მიუთითეს ნდობის პრინციპის დარღვევის თაობაზე. ადვოკატი მ.ქ.-ის პოზიციით 21 ივლისის საღამოს საათებში მან საინფორმაციო საშუალებით გაიგო, რომ ბრალდებულის დაცვაზე ადვოკატებმა უარი განაცხადეს, ხოლო ბრალდებულთან სატელეფონო საუბრისას მიიღო ინფორმაცია, რომ გ.ა.-მ ისინი აიცვია. ადვოკატის განცხადებით, მისთვის უცნობია თუ საიდან ჰქონდა ბრალდებულს მისი ნომერი.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე მნიშვნელობას იძენს იმის კვლევა თუ როგორ წარმოიშვა ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა და რამდენად შეესაბამებოდა ადვოკატის მხრიდან განხორციელებული მოქმედებები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. იხელმძღვანელა რა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში აპეკ) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით, ეთიკის კომისიამ განაცხადა, რომ მიუხედავად, იმისა, რომ ციხის თანამშრომლის ქმედება შეიძლება ატარებდეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს მას კომპეტენციიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომ ადვოკატს უშუალოდ დაურეკა და დაცვა სთხოვა კლიენტმა. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ასევე იმ გარემოებას, რომ ამასთან დაკავშირებით ადვოკატის კლიენტს არ წარმოუდგენია პრეტენზია ეთიკის კომისიაში. კოლეგიალობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხზე, კომისიამ აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტზე, სსსსკ-ის 41-ე მუხლსა და ეთიკის კომისიის N044/10 საქმეზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს თავად კლიენტის ნება კლიენტთან დადებული ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამომდინარე რამდენად სურს მას, რომ ადვოკატმა საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი, თუნდაც სხვა ადვოკატების მიმართ. 2011 წლის 21 ივლისს ადვოკატ მ. ქ. მიერ ბრალდებულის ადვოკატების არაინფორმირებულობა ვერ ჩაითვლება ეთიკის კოდექსის

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c52a41b45f06.pdf/5c52a41b45f06.pdf>

დარღვევად, ვინაიდან ადვოკატისთვის უცნობი იყო იმ დროისთვის კლიენტის ნება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების თარიღს 2011 წლის 22 ივლისს, მ. ქ. მონაწილეობით საპროცესო შეთანხმების დადებას ამ დროს არსებობდა ვ. მ. და ე. ბ. განცხადება ბრალდებულის უფლებების დაცვაზე უარის განცხადების თაობაზე, რის გამოც ადვოკატს აღარ ეკისრებოდა იმის ვალდებულება, რომ საქმეში ჩართვის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა ბრალდებულის ადვოკატებისთვის. საჩივრის ავტორთა პოზიციაზე ადვოკატის მხრიდან მონაწილეობის ფორმალურობასა და საქმის შესასწავლად არასაკმარისი დროის შესახებ ეთიკის კომისიამ გაიზიარა რა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების (Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten) მსჯელობა, განმარტა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. იგი ვერ შეაფასებს ადვოკატი რამდენად იცნობდა სისხლის სამართლის საქმეს საპროცესო შეთანხმებაზე ხელმოწერის დროს და ამ მხრივ საპროცესო შეთანხმების დადების მართებულობას.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ ადვოკატ მ.ქ.-ის ქმედებაში ვერ აღმოაჩინა აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის სავარაუდო დარღვევის ნიშნები, მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის სხვა საფუძველი და შესაბამისად, უარი განაცხადა დისციპლინური დევნის აღძვრაზე.